10/10/2024

MES 7 24 0001307186

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისი N169 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამოქალაქო განათლების ექსპერტი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ნინო სტეფანიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

ქეთი მუთიძე- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს - ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ-პლიუსი:
ნიკოლოზ ჩხარტიშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - ნიკო ნიკოლაძის სახელობის ქალაქ ფოთის N2 საჯარო სკოლა:
ეკა სამურკასოვი - სკოლის დირექტორი;
შალვა სარდალიშვილი - სამოქალაქო განათლების მასწავლებელი

სსიპ - სოლომონ დოდაშვილის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ მაღაროს საჯარო სკოლა:
სოფიო ღვინიაშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიის საჯარო სკოლა:
ავთანდილ კეჭაყმაძე - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტ ები):

შპს - ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ-პლიუსი:

ა) ნანა მონიავა (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მაკა ნადარეიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ხათუნა ნოზაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ხათუნა ჯიმშიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ეკა ტყავაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლეილა ხელისუფალი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნადია დაბრუნდაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნათია ნაფეტვარიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნანი სალია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) გიორგი კოპლატაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) მანანა როსტომაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ნიკო ნიკოლაძის სახელობის ქალაქ ფოთის N2 საჯარო სკოლა:

ა) ლია გრიგოლია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინო ჩიტაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ხათუნა ნოზაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ირაკლი ტაბატაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თეა მამულია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნანა კუნჭულია (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ზ) თემური კურცხალია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თეონა შერაზადიშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ირმა შველიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო მახარაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - სოლომონ დოდაშვილის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ მაღაროს საჯარო სკოლა:

ა) თინათინ ალავიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამარ ხეჩიკაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო აბესაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნინო ფორჩხიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო ავალიანი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) სალომე არაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ინგა ცერცვაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ილონა აკობია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ლალი ბერიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ქეთევან მეგრელიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიის საჯარო სკოლა:

ა) მაკა ტუკვაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მეგი როსტიაშვილი - წიკლაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ირინე თეთვაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ელენე კურდღელია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თაია მამარდაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ეთერი ივანელაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თეა ღვინიანიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნატო კვეტენაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ირმა შველიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ალექსანდრე ჩახნაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ქეთევან მეგრელიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2024 წლის 27 სექტემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

ექსპერტმა, ნანა მონიავამ განმარტა, რომ იმყოფებოდა მაღალმთიან რეგიონში და ინტერნეტის კავშირგაბმულობის ხარვეზის გამო, შპს - ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ-პლიუსის ავტორიზაციის საკითხი შესაძლოა წარედგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრს, მაკა ნადარეიშვილს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს - ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ-პლიუსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ნიკო ნიკოლაძის სახელობის ქალაქ ფოთის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სოლომონ დოდაშვილის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ მაღაროს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები, ნანა მონიავა და მაკა ნადარეიშვილი ინტენეტის კავშირგაბმულობის პრობლემის გამო, ვეღარ ახერხებდნენ საბჭოს სხდომაზე შემოერთებას, შესაბამისად, ცენტრმა დააყენა შუამდგომლობა, რომ შპს - ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ-პლიუსის ავტორიზაციის შესახებ საკითხი საბჭოს განეხილა ბოლო (მეოთხე) საკითხად.

საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. სსიპ - ნიკო ნიკოლაძის სახელობის ქალაქ ფოთის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სოლომონ დოდაშვილის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ მაღაროს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

4. შპს - ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ-პლიუსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. სსიპ - ნიკო ნიკოლაძის სახელობის ქალაქ ფოთის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლია გრიგოლიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ნიკო ნიკოლაძის სახელობის ქალაქ ფოთის N2 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 31 ივლისს და 01 აგვისტოს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 850. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 850 მოსწავლისთვის, ორი ცვლის პირობებში.
ექსპერტმა, ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ციფრული ტექნოლოგიების განვითარებას. კერძოდ, STEM საგნების გაძლიერების მიზნით, შექმნილი იყო ორი კლუბი: „ინოვატორი ფიზიკოსები“ და „გრაფიკა“. სკოლა ჩართული იყო მსოფლიო ბანკის პროექტში „ინოვაციის, ინკლუზიურობისა და ხარისხის პროექტი - საქართველო I2Q(IBRD)“-ში, რომლის ფარგლებშიც დაწესებულებას გადაეცა მნიშვნელოვანი რესურსები, რომელთაც აქტიურად იყენებდნენ სასწავლო პროცესში. ექსპერტის თქმით, სკოლაში ასევე ჩამოყალიბდა ტექნოკლუბი, ილიას სახელმიწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს, საქართველოს ICT კლასტერისა და ინოვაციური განათლების ფონდის ერთობლივი თანამშრომლობით.
ექსპერტმა, ლია გრიგოლიამ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასებული იყო, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ლია გრიგოლიას თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომელებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა, ლია გრიგოლიამ, წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო, ყველა საჭირო მატერიალური რესურსით აღჭურვილი ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული მეცნიერებების ლაბორატორიები, თუმცა, სკოლას არ ჰქონდა ინკლუზიური გარემო, კერძოდ, პანდუსი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა, საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ექსპერტს, საბჭოს წევრებისთვის გაეზიარებინა მეტი ინფორმაცია საგნობრივ კურიკულუმთან დაკავშირებით. ასევე, სკოლას მისცა რჩევა, სამიზნე ცნებების გრაფაში აესახათ სრული ინფორმაცია და გადაეხედა შეფასების რუბრიკებისთვის, რომელებიც საჭიროებდა დახვეწას.
საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის, ირაკლი ტაბატაძის, განმარტებით, თავდაპირველად სკოლას ჰქონდა შემუშავებული კურიკულუმები, რომლებშიც იკვეთებოდა გარკვეული ხარვეზები, თუმცა სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა განახლებული და სრულყოფილი კურიკულუმები.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, ვებ-გვერდზე განეთავსებინა ინფორმაცია დაწესებულების ფინანსური მდგომარეობის შესახებ. ასევე, დაინტერესდა, როგორი იყო ინკლუზიური გარემო სკოლაში და რით იყო განპირობებული რომ დაწესებულებას არ ჰქონდა პანდუსი.
სკოლის დირექტორის, ეკა სამურკასოვის, განმარტებით, სკოლას ჰქონდა სამი შესასვლელი, რომელთაგან ერთ-ერთთან მოწყობილი იყო პანდუსი (სკოლის შემოსასვლელში, პირველ და მეორე სართულებზე არ იყო პანდუსი) ასევე, დაწესებულებას ჰქონდა მატერიალური რესურსებით სრულად აღჭურვილი რესურს ოთახი. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ სრულად ინკლუზიური გარემოს შექმნის მიზნით მიმართული ჰქონდა ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთვის, თუმცა, ვინაიდან დაწესებულება ატარებდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს, ინფრასტრუქტურული ცვლილებების განხორციელება მეტ სირთულესთან და დროსთან იყო დაკავშირებული.
სამოქალაქო განათლების მასწავლებლმა, შალვა სარდალიშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა სპეციალური მასწავლებლები და სოციალური მუშაკი. მისი განმარტებით, ინკლუზიური განათლების მიმართულებით სკოლას განხორციელებული ჰქონდა მრავალი პროექტი, რომელთა დეტალური აღწერაც წარმოდგენილი იყო სკოლის ვებ-გვერდზე.
საბჭოს მდივანი, მანანა ჯინჭარაძე, დაინტერესდა, როგორ ადასტურებდა სკოლა არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული პროექტების მიღწევებს, ასევე, როგორი მზაობა ჰქონდა სკოლას ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რჩევებისა და რეკომენდაციების გასათვალისწინებლად.
სამოქალაქო განათლების მასწავლებლის, შალვა სარდალიშვილის განმარტებით, პროექტის დაგეგმვამდე ტარდებოდა კვლევა, ასევე, დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა წამახალისებელი სიგელების ფორმა, რომელიც მოსწავლეებს გადაეცემოდათ პროექტის წარმატებით დასრულების შემდეგ.
სკოლის დირექტორის, ეკა სამურკასოვის, განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემულ რჩევებსა და რეკომენდაციებზე სკოლას უკვე დაწყებული ჰქონდა აქტიური მუშაობა და რიგი მათგანი საბჭოს ჩატარების დროისთვის გათვალისწინებული და გამოსწორებული იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ნიკო ნიკოლაძის სახელობის ქალაქ ფოთის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 850 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 16:27
დასრულების დრო: 16:33

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ნიკო ნიკოლაძის სახელობის ქალაქ ფოთის N2 საჯარო სკოლას (ს/კ: 215102485) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 850 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ფოთი, ნინო ჟვანიას ქუჩა N9.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ფოთი, ნინო ჟვანიას ქუჩა N9.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ფოთი, ნინო ჟვანიას ქუჩა N9.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისგანხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2026 წლის სექტემბერში 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, შენობა - ნაგებობების მდგრადობის შესახებ დასკვნის, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმისა და სკოლის შემოსასვლელში, პირველ და მეორე სართულებზე პანდუსის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

2. სსიპ - სოლომონ დოდაშვილის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ მაღაროს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თინათინ ალავიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - სოლომონ დოდაშვილის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ მაღაროს საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 17 და 18 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 350. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 350 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, თინათინ ალავიძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასებული იყო, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომელებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტის განმარტებით, სკოლაში იყო მოვლილი გარემო, სკოლას ჰქონდა ბიბლიოთეკა, შიდა სპორტული დარბაზი და გარე სპორტული მოედანი (აღნიშნული საჭიროებდა რეაბილიტაციას), ასევე კომპიუტერული მეცნიერების ლაბორატორია. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სკოლის შენობას ესაჭიროებოდა სრული რეაბილიტაცია. სკოლის შენობის რეაბილიტაცია გათვალიწინებული იყო 2025-2026 წლის რეაბილიტაციის პროექტის გეგმით. ასევე, სკოლას

ჰქონდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების განხორციელებისთვის საჭირო ყველა რესურსი, რომელიც მასწავლებლებს შეჰქონდათ უშუალოდ კლასებში, ვინაიდან არ იყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლაში იყო სოლომონ დოდაშვილის სახელობის მუზეუმი, ასევე, დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი კოლეჯ „აისთან“ და ,,სსიპ - კოლეჯ ,გლდანის პროფესიულ მომზადების ცენტრთან“, ასევე, სკოლაში აქტიურად მუშაობდა თვითმმართველობა და ახორციელებდა სხვადასხვა ღონისძიებასა და პროექტს.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა მათემატიკის საგნობრივ ექსპერტს, მათემატიკის მიმართულებით, მეტი დეტალი წარმოედგინა საბჭოსთვის.
მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის, ლალი ბერიშვილის, განმარტებით, მწირი იყო შემოქმედებითი დავალებების რაოდენობა, ასევე, დასახვეწი იყო შეფასების რუბრიკები, კერძოდ კი განმავითარებელი შეფასების მიმართულება, ასევე, ვინაიდან სკოლაში არ იყო WI-FI სისტემა, სწავლების პროცესში ვერ იყენებდნენ ელექტრონულ რესურსებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სოლომონ დოდაშვილის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ მაღაროს საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 350 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 16:50
დასრულების დრო: 16:57

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სოლომონ დოდაშვილის სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ მაღაროს საჯარო სკოლას (ს/კ: 240413183) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 350 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი

		საფეხური	პროგრამის განხორციელების ენა	(მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სოფელი მაღარო.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სოფელი მაღარო.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სოფელი მაღარო.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2026 წლის სექტემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: 1-ელი, მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 სტანდარტები.

3. სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 12 და 13 აგვისტოს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი,

საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სასწავლო მიზნებისთვის დაწესებულება იყენებდა ორ შენობა-ნაგებობას, რომელიც მდებარეობდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიაში და ნაღობილევში. სოფელ ნაღობილევში ხორციელდებოდა მხოლოდ დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 550. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 550 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა მოსწავლეთა პროფესიულ ორიენტაციასა და არაფორმალურ განათლებას. ამ მიზნით სკოლას გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი პროფესიულ კოლეჯთან ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტი“ და პერიოდულად სკოლის ბაზაზე ტარდებოდა მოკლევადიანი პროფესიული კურსები (ბუღალტერია, სტილისტის კურსი და სამკერვალო დიზაინი). ასევე, სკოლაში ფუნქციონირებდა სხვადასხვა თემატიკის კლუბი: "იდეებისა და მეწარმეობის ლაბორატორია", ჯგუფი "თვითიზოლაციური ხელოვნება", მკითხველთა კლუბი "ათინათი", ქორეოგრაფიული ანსამბლი "დაისი", ფეხბურთის წრე. ექსპერტის თქმით, სკოლამ მიმართა და მოიპოვა შესაბამისი დაფინანსება მუნიციპალიტეტის მერიისაგან, პროექტის „კულტურული მრავალფეროვნება“ განსახორციელებლად. ექსპერტის განმარტებით, სკოლის კურსდამთავრებულთა ინიციატივით, 2024 წლის აპრილში, დაფუძნდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „სოფელ მერიის საჯარო სკოლის წარმატებულ მოსწავლეთა მხარდაჭერის ფონდი“. ასევე, გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დანერგვის ფარგლებში, მოსწავლეებს ჰქონდათ ონლაინ შეხვედრა ქალბატონებთან, რომლებიც მუშაობდნენ STEM მიმართულებით ევროპისა და აშშ-ს წამყვან უნივერსიტეტებში. ექსპერტის თქმით, სკოლაში ასევე ფუნქციონირებდა „ხელოვნური ინტელექტის კლუბი“.

ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასებული იყო, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომელებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო, ჰქონდა კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, საჭირო ინვენტარით სრულად აღჭურვილი შიდა სპორტული დარბაზი და გარე სპორტული მოედანი, სააქტო დარბაზი და პროფესიული განათლების განხორიცლებისთვის მოწყობილი ცალკე ოთახი, რომელსაც ჰქონდა ყველა საჭირო რესურსი. ექსპერტის განმარტებით, სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ინკლუზიური განათლების მიმართულებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, ვინ წარმართავდა კლუბ „ხელოვნური ინტელექტის“ საქმიანობას, ასევე მიმართა სკოლის წარმომადგენელს, საბჭოსთვის მეტი დეტალი გაეცნო პროფორიენტაციის კურსებთან დაკავშირებით.
სკოლის დირექტორის, ავთანდილ კეჭაყმაძის, განმარტებით, „ხელოვნური ინტელექტის კლუბს“ ხელმძღვანელობდა თავად და დაწესებულებას ამ მიმართულებით ჰქონდა მრავალფეროვანი რესურსები. რაც შეეხებოდა პროფორიენტაციას, დირექტორის განმარტებით, სკოლა აქტიურად თანამშრომლობდა კოლეჯ „ჰორიზონტთან“ და ახორციელებდა სწავლებას სხვადასხვა მიმართულებით, ასევე, ამ მიზნით სკოლას ჰქონდა ცალკე გამოყოფილი სასწავლო ოთახი.
საბჭოს მდივანმა, მანანა ჯინჭარაძემ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს საბჭოსთვის გაცენო მეტი დეტალი კურსდამთავრებულთა პროგრამის შესახებ.
სკოლის დირექტორის, ავთანდილ კეჭაყმაძის, განმარტებით, სკოლას აქტიური კომუნიკაცია ჰქონდა კურსდამთავრებულებთან, ბიბლიოთეკის გარკვეული რესურსი დაწესებულებას გადაცემული ჰქონდა სწორედ კურსდამთავრებულებისგან. ასევე, სამომავლოდ დაგეგმილი ჰქონდათ გარკვეული ღონისძიებები.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა საკმაოდ მოწესრიგებული ვებ-გვერდი, სადაც განთავსებული იყო სრული ინფორმაცია, მათ შორის ინფორმაცია იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს ჩატარების შესახებ, რომელზეც განიხილებოდა აღნიშნული სკოლის ავტორიზაციის საკითხი.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, სკოლას მისცა რჩევა, ეთანამშრომლა რეგიონის სხვა სკოლებთან და გაეზიარებინა საუკეთესო პრაქტიკა მრავალფეროვანი პროექტების მიმართულებით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 550 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 17:22
დასრულების დრო: 17:30

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიისსაჯარო სკოლას (ს/კ: 237102050) 9 წლის ვადით

მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 550 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი მერია; ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნაღობილევი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი მერია
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი მერია

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისგანხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2026 წლის სექტემბერში 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, შენობა-ნაგებობების მდგრადობის შესახებ დასკვნისა და შენობის შესასვლელის პანდუსით უზრუნველყოფისა და საერთულებზე გადასაადგილებლად პანდუსების ან ლფიტისმოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები, ნანა მონიავა და მაკა ნადარეიშვილი ვერ უერთდებოდნენ საბჭოს სხდომას და დააყენა შუამდგომლობა შპს - ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ-პლიუსის ავტორიზაციის საკითხის განხილვის გადატანასთან დაკავშირებით. მისი განმარტებით, აღნიშნული საკითხის განხილვის შესახებ დაინტერესებულ მხარეებს ეცნობებოდა, სხდომის ჩატარებამდე, 1 კვირით ადრე.

საბჭოს წევრებმა გაიზიარეს ცენტრის წარმომადგენელის შუამდგომლობა

დღის წერსიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 17:40 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა